



**საია-ს განცხადება
ჰომოფობიის,
ტრანსფობიის და
ბიფობიის წინააღმდეგ
ბრძოლის საერთაშორისო
დღესთან დაკავშირებით**

საია-ს განცხადება ჰომოფობიის, ტრანსფობიის და ბიფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით

17 მაისი ჰომოფობიის, ტრანსფობიის და ბიფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეა, რომელიც ოფიციალურად აღიარებულია ევროპის პარლამენტისა და მსოფლიოს არაერთი ქვეყნის მიერ.

ღებტე თე მი ერთ-ერთ ყველაზე გარიყულ ჯგუფს წარმოადგენს საქართველოში. COVID-19-ის პანდემიის შედეგად კიდევ უფრო მძიმეა მათი როგორც სოციალური ისე უფლებრივი მდგომარეობა მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ ბოლო წლების განმავლობაში სამართლებრივი დაცვის მექანიზმები გარკვეულ ასპექტებში გააუმჯობესა, კერძოდ 2014 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი **ქვეყნის** ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ **ქვეყნის** მთელი რიგი საკითხების საკანონმდებლო მონესრიგების საჭიროება კვლავაც აქტუალურია.¹

განსაკუთრებული გამოწვევაა მოქმედი კანონმდებლობის პრაქტიკაში განხორციელების

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



საკითხი. კერძოდ, პრობლემად რჩება სიძულვილის ენისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ეფექტიანი გამოძიება და ჩამდენ პირთა დასჯა. ასევე, ყურადღების მიღმა რჩება ჯანმრთელობის დაცვისა და სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის სფეროში არსებული პრობლემები.

ღებტეი თემის შეკრების თავისუფლების რეალიზების საკითხი ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა იყო 2019 წელსაც. კერძოდ, 2019 წელს **DP** პრაიდის **Q** მიერ ორგანიზებული ღირსების მარშის ჩატარება. შინაგან საქმეთა სამინისტრომ 31 მაისს **DP** პრაიდის **Q** ორგანიზატორებთან გამართული შეხვედრის შემდეგ განცხადება გაავრცელა, რომ **A** ადგილებზე და ფორმატით ღონისძიებების ჩატარება, პროცესში ჩართული პირების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების გათვალისწინებით, შეუძლებელია...² **Q**მ ნაბიჯით სახელმწიფომ ფაქტობრივად უარი თქვა მისი პოზიტიური ვალდებულების შესრულებაზე.

ქვიარ ადამიანების დისკრიმინაცია შრომით ბაზარზე ახალი არ არის ქართული რეალობისთვის. ღებტეი ადამიანები ხშირად გენდერისა და სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე დისკრიმინაციის მსხვერპლები ხდებიან. შესაბამისად, სამუშაო ადგილზე ნაწილ მათგანს უწევს ორიენტაციისა და იდენტობის დამალვა, რათა თავი აარიდოს დისკრიმინაციას. ნაწილი მათგანი, კი იძულებული ხდება თავი ირჩინოს სექსმუშაკობით³ და ამით გამოიმუშაოს ფინანსები. პანდემიის შედეგად შექმნილმა მდგომარეობამ მათ საარსებო წყაროსა და კეთილდღეობაზე მკვეთრი ზემოქმედება მოახდინა, რამაც თემის მონყვლადობა და გარიყულობა კიდევ ერთხელ გამოაჩინა.

სახელმწიფოს მხრიდან Covid-19 -ის პანდემიასთან ბრძოლის ფარგლებში დაგეგმილმა ღონისძიებებმა აჩვენა, რომ ღებტეი პირების საჭიროებების გათვალისწინება არ მომხდარა ან მოხდა ფრაგმენტულად, რამაც ქვიარ ადამიანები ჩააყენა მძიმე, ფინანსურად არასტაბილურ მდგომარეობაში. გამომდინარე იქედან, რომ ნაწილი მათგანი თვითდასაქმებით ირჩენს თავს, სახელმწიფოს მხრიდან პანდემიის შედეგად დაზარალებული ადამიანებისთვის გასაცემი კომპენსაციის გეგმაში ღებტეი პირები ვერ მოხვდნენ. შესაბამისად, შემოსავლის გარეშე დარჩენილი პირები, საცხოვრებელი ადგილის დაკარგვის რისკის ქვეშ აღმოჩნდნენ⁴. ამასთანავე, ქვეყანაში არ არსებობს ღებტეი ადამიანებზე მორგებული სერვისები და პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფს დისკრიმინაციის მსხვერპლთა უკეთ დაცვასა და რეაბილიტაციას, რაც კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდა კორონა ვირუსის პანდემიის პირობებში.

პანდემიის დროს სახელმწიფოს მხრიდან სათანადო სერვისების მიუწვდომლობა განსაკუთრებულ პრობლემებს უქმნის ღებტეი პირებს, რომლებსაც ქრონიკული

